გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 71 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 71

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა ო-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეეთმობა 40 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენიურ წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**


რაფაელ სიმონის ძე ეზიკოვი და ეკატერინე პეტრეს ასული ეზიკოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ გარდაცვალებას, პირველი: საყვარელის სიძისას და მეორე—ძმის

## სტეფანე პეტრეს ძე საფაროვისას.

პანაშვიდი პარასკევს, 19 მარტს, საღამოს 7 საათზე, დასაფლავება—შაბათს, 20 მარტს, დილის 10 საათზე, მამადავითის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 30.
(1—74—1)


როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი)

## იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგ საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად, აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიის მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ხნახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასია სამხის მემამულეამე**.





ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

**უკანასკნელი წარმოდგენა**

დღეს, 19 მარტს,
გაიმართება ორი კავკასიური

## ჭიდაობა

იჭიდავებენ: **კ. მაისურაძე** და ცნობილი მოჭიდავე მჭედელი **ა. მერაბაშვილი**. წამქცევს ჯილდოდ მიეცემა 25 მან.

მეორე: იჭიდავებენ **ლვინიანიძე** და **ცერაძე**; წამქცევს ჯილდოდ მიეცემა 25 მან. დასასრულ მესამე განყოფილებისა გაიმართება **«ზანგის ქორწილი»**. დაწვრილებითი ცნობები პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—73—1).


## რედაქციისა ან

გაზ. «ივერიის» დილის ახალი დეპეშები დაიბეჭდება გასასყიდად მხოლოდ იმ დღეს, როდესაც **საყურადღებო ამბები** მოვა შორეულ აღმოსავლეთიდან.

საჭიროა დეპეშების გამყიდავები.

მსურველთ მიჰმართონ ექვთიმე ხელაძის სტამბას (იარმუკა, სომხ. სემ. სახლები).

ვისაც სურს პროვინციაში დეპეშების გაყიდვა იკისროს, მიჰმართოს «ივერიის» რედაქციას და შეატყობინოს, რამდენი ცალი ეგზავნოთ მხოლოდ ოც ცალზე ნაკლები-კი არ შეიძლება.


გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.



ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**პარასკევს, 19 მარტს 1904 წელს,**

უკანასკნელი გამოსათხოვარი წარმოდგენაა და ბენეფისი მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა. ო. ი. კამიონსკის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## კარმენი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენერადინა, კარრი, ლელინა, ფიოდოროვა; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, კამიონსკი, შმაკოვი, ფიოდოროვი, გავრილოვი.

**ბალეტს დასდგამს ბ-ნი ქვიტტინგი.**

რეჟისორი ა. დ. ბედსკი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ბილეთები იყიდება.



**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».
ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.



**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყოროღლოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა**, ელისაბედის ქუჩა, № 41.



## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ჟ. გ. ჩიქოვანი**. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**გ. ზ. აკეტისიანცი**. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი**. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი**. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი**. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი**. $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი**. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი**. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ე ლვი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა**. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი**. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი**. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აგრეთვე ყოველს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.



## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასმაიძე**. 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი**. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე**. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი**. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დესტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი**. შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი**

**ა გ. მაღალაშვილი**. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

უმაღლესი დეპეშა ადმირალ ალექსეევთან.—გენერალ დრაგომიროვის აზრი.—წვრილი ამბები. კვლავად იაპონელ ქალზე.

ხელმწიფე იმპერატორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნია 7 თებერვალს მის უდიდებულესობის მოადგილეს შორეულ აღმოსავლეთში, გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის სახელობაზე:

«დიდ-მნიშვნელობისა გამო მომავალ ბრძოლისა, რომელმაც რუსეთის ზედგავლენა უნდა განამტკიცოს დიდ ოკეანეს ნაპირს, და რადგან საჭიროა თქვენ, ჩემმა მოადგილემ, რეზიდენცია გადიტანოთ შესაფერს შუა-ადგილს, მაგალითად, ხარბინს, ანუ სხვაგან, თქვენის ამორჩევისამებრ, სასარგებლოდ ვსცან და დაგინიშნე თანაშემწედ გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი, რომელიც ხმელეთის ჯარის უფროსი იქმნება, ლაშქრის სარდალის უფლებით აღჭურვილი, და ვიცე-ადმირალი მაკაროვი - მეზღვაურთა უფროსად, ფლოტის სარდლის უფლებით. დარწმუნებული ვარ, ამ დამოუკიდებელ და პასუხისმგებელ უფროსთა დანიშვნით თქვენ, ჩემს მოადგილეს, გაგიადვილდებათ თქვენდამი წილხვედრილ საისტორიო მოვალეობის აღსრულება».

**ნიკოლოზი.**

—

«პარიჟის ეხოს» კორესპონდენტს უბაასნია გენერალ დრაგომიროვთან, რომელიც ავად ყოფილა და ეხლა გამოკეთებულა. გენერალს უთქვამს:

იაპონელებს ერთი უკურნავი სენი სჭირთ, რომელიც იმისაგან წარმოსდგება, რომ მთელი თავისი ჯარი ზღვით უნდა გადაიყვანონ ომის ველზე. მეტადრე ძნელია კავალერიის გადაყვანა მართალია, იაპონიიდგან კორეამდე დიდი მანძილი არ არის, მაგრამ ზღვით მგზავრობა კავალერიისათვის მომაკვდინებელია და იაპონიის კავალერია ხომ უიმისოდაც სუსტია.

მეორე თავში საცემი იაპონელებისა კორეაში—ეტლია. იაპონელებმა ეტლით მოგზაურობა თითქმის არ იციან და ამიტომ ბარგის ზიდვა მეტად ეძნელებათ.

ეს «მოწყალე ბატონები» (გენერალი დრაგომიროვი ასე უწოდებს იაპონელებს) ზღვის პირს ვერ მოშორდებიან და მუდამ თავის ფლოტის ახლო უნდა იარონ. იმათ შეუძლიანთ მხოლოდ მდინარე იალუმდე გადავიდნენ გემებიდგან კორეაში და გადასულ ჯარს განსაცდელი მოელის ყოველ ჟამს, რადგან ჩვენ დიდი კავალერია გვყავს იმ ადგილებში.

ჩემის აზრით, ჩვენმა ჯარმა მდინარე იალუს უნდა მიაპყრას თავისი ყურადღება. მართალია, მდინარე გრძელი არ არის, როგორც რუკა მაჩვენებს, მაგრამ ძალიან იცის ადიდება და ორთავ მხარეს მთებით არის შეზღუდული, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. მდინარეზე გადასვლა კარგი საქმეა, მაგრამ გამობრუნებაზედაც უნდა ვიფიქროთ, თუ საჭიროებამ მოითხოვა. ჩვენი კავალერია მიუვალ ადგილებზე უნდა დაბანაკდეს იალუს იქითა ნაპირს, რომ «მოწყალე ხელმწიფებმა»გზა არ გადუჭრან. გავდებთ ჩვენ საიმედო ხიდს მდინარეზე, ან გვეგულება იქითა მხარეს მიუვალი ადგილი ბანაკისათვის?—ეს მე არ ვიცი. მდინარე იალუს მარცხენა ნაპირსაც ჩვენი ხიდი მკვიდრს ნიადაგზედ უნდა იყოს დამყარებული, რომ აზვირთებულმა მდინარემ ხიდი არ გამოგვაცალოს. («კ—კ»).

—

დეპეშებიდგან ვიცით, რომ ადმირალი მაკაროვი ამას წინად თავის ფლოტით პორტ-არტურის ნავთსადგურიდგან გამოსულა მტრის ესკადრის დასახვედრად. ფლოტს წინ მიუძღოდა კრეისერი «ასკოლდი», რომელზედაც ადმირალი მაკაროვი ყოფილა. ეხლა ცნობა მოვიდა, რომ ამავე კრეისერზე იმ დროს მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძეც ბრძანებულა. («რ. ვ.»).

—

«გრომობოი», «როსსია», «ბოგატირი» და «რიურიკი» ვლადივოსტოკს დაბრუნებულან და ნადავლი გემები მიუყვანიათ.

ქალაქის მცხოვრებთ ძალიან გაჰხარებიათ და დიდის ამბით უდღესასწაულ იათ ესკადრის მისვლა. («ნ. ვ.»).

—

გაზეთ «დ. მ.» კორესპონდენტი ჩიფუდგან პორტ-არტურს წასულა, მაგრამ ნავთსადგურში არ შეუშვიათ. რუსის ნაღმიანი გემი გამოსულა და მისს უფროსს გამოუცხადებია: ვერ მიგიღებთ და ადმირალ მაკაროვის ნახვაც არ შეიძლებაო.(«რ. ვ.»).

—

იაპონიის ელჩად ნამყოფი კურინო, პეტერბურგიდგან რომ წასულა და ევროპის რამდენიმე სახელმწიფო მოუვლია სხვათა შორის, შვეციაშიაც ყოფილა. რა უნდოდა შვეციაში?

ომის დაწყებამდე იაპონელები სცდილობდნენ რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ სხვა სახელმწიფოებიც და ამ რიგად დამხმარებელი აეჩინათო, ამბობს ევროპის გაზეთები. ამ განზრახვით იაპონიას თავისი აგენტი გაუგზავნია შვეციაში და ურჩევია, როდესაც რუსეთი შორეულ-აღმოსავლეთის ომში ჩაებმის, შვეციამ ხელი გამოიღოს და ძველი ანგარიში გაუსწოროს ფინლიანდიის გამოო. შვეციის მთავრობა მაშინ არ დასთანხმებულა და იაპონიის აგენტი უიმედოდ გაბრუნებულა. მაგრამ, ეტყობა, იაპონია კიდევ იმედს არა ჰკარგავს და სწორედ ამავე განზრახვით შეივლიდა შვეციაში ბ-ნი კურინო.

იაპონელი ქალი საერთოდ ლამაზიაო,—ამბობენ მეზღვაურნი. სახის კანი მეტად ნაზი აქვს, ატმის ფერისა, ბაცი ყვითელი და ლოყას წითლად ლაქლაქი გაუდისო. თმას ძალიან მოხდენილად იკრებს იმგვარად, როგორც უკანასკნელ დროს ევროპიელი ქალებიც იკეთებენ და «გეიშას» უწოდებენ. იაპონელი ქალი მუდამ მხიარულია, პირმოცინარი, მარდი და კოხტა სიარული იცის.

ვლადივოსტოკელი რუსები ამბობენ, იაპონელი ქალი სამაგალითო ლალა არის? იმაზე კარგს ბავშვის გამზრდელს, გულშემტკივარსა და მოსიყვარულეს, ვერსად იპოვითო. ბავშვებსაც ძალიან უყვართ იაპონელი ლალა და ბავშვის ინსტიქტი ხომ სრულიად უტყუარია. საერთოდ იაპონელ ქალებს ისე უყვართ ბავშვი, რომ თავისუფალ დროს სულ იმასა სწირავენ.

იაპონელი ქალი ძალიან მტკიცედ ადგია თავის ეროვნულ ზნე-ჩვეულებას და ტანსაცმელშიც კი არ იჩენს წაბაძვის ხალისს, იაპონიაში და საერთოდ შორეულ აღმოსავლეთში მრავალი ევროპიელი ქალია, მოდების მიმდევარი, და იაპონელ ქალს ადვილად შეუძლიან მისი მორთულობა გადაიღოს, მაგრამ იმას მაინც თა-

ვისი ეროვნული ტანთსაცმელი ურჩევნიან; ძნელად ნახავთ იაპონელ ქალს, მაღალ ანუ დაბალ საზოგადოებისას, რომ ევროპიულად ეცვას.

იაპონელი ქალი ძალიან თავმოყვარეა. ძალიანა სწყინს, თუ იმასთან სხვა ქალის სილამაზე აქეთ; მაგრამ ეს ხომ ყველა ქალების სისუსტეა. («პ. ვ».).

# ტფილისი

*** მოგვყავს ზოგიერთნი საყურადღებო ცნობანი ტფილისის სამეურნეო ბანკის წლიურ ანგარიშიდგან: წლის განმავლობაში დაუტრიალებია ბანკს 11,025,137 მ. 36 კ. შარშანდელზედ მეტი იმუშავა 398,502 მანეთით, სახელდახელო ანგარიშმა 101,839 მ.

ვექსილები განაღდებულა შარშან 643,362 მ. 60 კ., გაუცია ბანკს ყოველგვარ სახის სესხი 139,185 მ. 50 კ., სავექსილო ოპერაციას უმატნ ა 54,366 მანეთით, ხოლო სარგებლიან ქაღალდებისა და საქონლის დაქირავებით გაცემულს დაუკლია 6579 მანეთით.

სხვა ბანკებიდან გამოუტანია 320,122 მ სამუშაოდ.

კორესპონდენტების ანგარიში აწეულა 261,343 მანეთამდე, თითქმის 60,000 მანეთამდე მეტი, ვიდრე შარშან.

სულ მთელი შემოსავალი ბანკისა ყოფილა 40,611 მ., ასს მანეთს ჰხვდება 6 მ. 92 კ., საბჭო სთხოვს კრებას 1000 მ. შესწიროს ომის საჭიროებისათვის, 200 მ. ქალების ჰრა-კერვის სკოლას.

945 მ. საბჭო სთხოვს მიეცეს ჯილდოდ ბუჰხალტერს და კასის მოხელეთ.

*** სამშაბათს, 23 მარტს, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრთა. კრებამ მსჯელობა უნდა იქონიოს საბაოოსნო სკოლის გამგის არჩევის შესახებ. ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად საბჭოს 16 მარტსაც ჰქონდა კრება, მაგრამ გადაწყვეტით ვერავითარს აზრს ვერ დაადგა.

*** დღეს, 19 მარტს, ქალაქის გამგეობის სადგომში შეერთებული კრებაა დანიშნული ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და ტეხნიკოს-ხმოსნებისა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ელექტრონით განათების შესახებ მოსალაპარაკებლად.

*** ქუთაისის სამკურნალო საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის ჰლექის საწინააღმდეგო გამოფენის გამმართველთ, დროებით ქუთაისშიაც გამართეთ ეს გამოფენაო. გამოფენის გამგენი ამ საგნის შესახებ დ-რს ბლიუმენტალს შეჰკითხებიან.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ერთს ყმაწვილ კაცს უკვე დაუწყვია თარგმნა საყმაწვილო საკითხავის წიგნისა «პატარა ცელქის დღიური», რომელიც რუსულად არის გადმოღებული ა. რეინგოლტტის მიერ.

*** ქალაქის გამგეობა 23 მარტს განიხილავს პროექტს იმ ინსტრუქციისას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ქალაქის ლომბარდის გამგეთ.

*** ფოთის ქალაქის საბჭოს დაუდგენია, ცხენის რკინის გზა გაიყვანოს რკინის გზის სადგურიდან ნავთსადგურამდე.

*** ტფილისის მეტლეებმა გადასწყვიტეს, 263 მანეთი გადასდონ შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა და დაობლებულ ოჯახობისათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მისწერა სასწავლებლების გამგეთ. სასწავლებლებში თუ ფულის მოგროვება სურს ვისმესა, უთუოდ უნდა იქონიოს ყუთი, დაბეჭდილი წითელი ჯვრის საზოგადოების მიერო.

*** ჰლექის საწინააღმდეგო გამოფენა კვირას, 21 მარტს, ნაშუა დღევის 5 საათზე დაიხურება. კვირას დილის ცხრა საათამდე მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ და თვალიერონ გამოფენა.

*** 16 მარტიდგან «დიდების» ტაძარში დაიწყო გამოფენა გამოჩენილ მხატვართა სურათების გრავიურებისა. გამოფენა ღიაა ყოველ დღე დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 6 საათამდე. შესვლის ფასი 30 კაპ. მთელი შემოსავალი შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ რუს-მეომართა სასარგებლოდ გადაიდება. გამოფენას ხალხი მრავლად ათვალიერებს.

*** ხმოსანმა არღუთინსკიმ ტფილისში დაათვალიერა ზოგიერთი სახლები. ხმოსნის აზრი იყო, გაეგო, რამდენად სწორედ შეაწერა დამფასებელმა კომისიამ დასაფასებელი გადასახადი.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი რუსულს ენაზედ: «Практическое руководство для составленія бумагъ по дѣламъ гражданскаго судопроизводства въ закавказскомъ краѣ» შედგენილი ნაფიც ვექილის მელიქ ადამოვის მიერ წიგნი 1 მანეთი ღირს.

*** შაბათს, 20 მარტს, საღამოს 8 საათზედ ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის იურიდიულ საზოგადოების წევრთა. კრებას სხვა-და-სხვა მოხსენებანი აქვს განსახილველი.

*** ტფილისში დაბრუნდა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსი კ. მ. ლინდენი, რომელმაც პეტერბურგს მიმავალი ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორი ბ-ნი ლეი გააცილა.

*** ღამით, 16 მარტს, ნავთლუღში, გეორგ არუთინოვს საქონლის ბაკიდან ქურდებს 46 სული საქონელი გაურეკიათ. ქურდებს საქონელი წაუყვანიათ რკინის გზაზე. ღამით მატარებელს გამოუვლია და 3 სული გაუჭყლეტია. მატარებელი გაჩერებულა და ქურდები სადღაც გაპარულან.

## კიდევ სამეგრელო და ქართული ენა.

«სასულიერო მოამბის» უკანასკნელ (მე-4) ნომერში მეგრელების შესახებ ცნობილის დეკანოზის მ. ი. ვოსტორგოვის წერილია დაბეჭდილი. როგორც ამ წერილიდგან სჩანს, მეგრელები თანაც თხოულობენ, ქართულს ენას ნუ მოგვისპობთ ღვთის მსახურებაშიო (გვ. 27, 30, 31), და თანაც «სიხარულით» გაიძახიან, რომ მათ არა სურთ თავიანთ შვილებს ქართული ან მეგრული ასწავლონ, არამედ მარტო რუსული უნდათ, რადგან რუსული ენა მათის შვილებისათვის ყველაზე უფრო საჭიროა-ო და სხ. (გვ. 32); სამაზრო წინამძღოლის კანდიდატი, მთელი მაზრის წარმომადგენელი, «ახალგაზდა თავადი დადიანი», მ. ვოსტორგოვის თქმით, «რადგანაც უგათხავს მათ მეუფებას (საქართველოს ეგზარხოსს) ქადაგზე», ეხება მხოლოდ სადვთისმსახურო ენას სამეგრელოს ეკლესიებში, თხოულობს—ღვთის-მსახურებაში ქართულ ენას ნუ მოგვისპობთო,—და როცა მათი მეუფება «ამ ახალგაზდა თავადს» თვალსაჩინოდ დაუმტკიცებს, რომ სენაკის სასულიერო სასწავლებელში და სამრევლო-საეკლესიო სკოლაში ქართული ენა დღეს მშვენივრადაა დაყენებული,—თავადი სრულიად რწმუნდება და აღიარებს, რომ იგი ვიღაც ბოროტ-განმზრახველთა მოტყუების «მსხვერპლი გამხდარაო» და სხ.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ეს «ბოროტ-განმზრახველი ხალხი» (злонамѣренные люди) ფრიად დიდ როლს ასრულებს მ. ვოსტორგოვის წერილში. მხოლოდ ამ ბოროტ-განმზრახველთა წყალობით ხდება ის, რომ ახალის «სამოსწავლო გეგმის» ის ზომები, «რომელნიც სამეგრელოს სკოლებში მეგრულისა და არა ქართულის ენის საშუალებით რუსული ენის შესწავლას შეეხება», დღეს მეგრელთა შორის იმ აზრით გაუგიათ, ვითომც „ქართული ენა ღვთის-მსახურებიდ ნაც უნდა განიდევნოსო" (იქვე. გვ. 27); მხოლოდ ეს «ბოროტ-განმზრახველნი კაცნი ავრცელებენ ხმას, რომ ღვთის-მსახურებაში ქართული ენა რაღაც სხვა ენით უნდა შეიცვალოსო» და სხ. (გვ. 30),

ასე დაპირაკობს დღეს მ. ვოსტორგოვი და მისი სიტყვები შემდეგს სამს აზრს შეიცავს: ა) „ახალი სამოსწავლო გეგმა" შეეხება მხოლოდ რუსულის ენის შესწავლას მეგრული ენის საშუალებით (და არა ქართულის ენის განდევნასაც სამეგრელოს სკოლებიდგან?!); ბ) ამ საკითხს არავითარი კავშირი არა აქვს სამეგრელოს ეკლესიებიდან ქართულის ენის განდევნასთან [1]), და გ) რომ ამ ორ საკითხს ერთმანეთში ურევს მხოლოდ ბოროტ-განმზრახველ კაცთა» საქმეა.

მაგრამ დავიწყებია მ. ვოსტორგოვს თავისი მშობლიური ანდაზა, რომელიც ამბობს: «კალმით დაწერილს ცულითაც ვეღარ ამოშლითო»; დავიწყებია, რომ ამ რამდენისამე თვის წინად სულ სხვას ბრძანებდა იგი იმავე მოგზაურობის აღწერაში და იმავე საგნის შესახებ.

მოგვყავს ეს ადგილები.

«დღემდის მეგრელ მოწაფეს ჯერ ქართულს ასწავლიდნენ და შემდეგ, ამ ახლად შესწავლილ ქართულ ენის საშუალებით, ასწავლიდნენ რუსულ ენას, და სათარგმნელად იმავე ქართულ ენას მიმართავდნენ ხოლმე... ახლაკი, ახალს სამოსწავლო გეგმის თანახმად, ნაბრძანებია, რუსული ენა სკოლებში პირდაპირ მშობლიურ, ე. ი. მეგრულის ენის საშუალებით ასწავლონ (ხაზგასმული ვოსტორგოვისაა)... მართალია, მეგრული ენა ქართულის ფესვისაა („картвельскаго корня"), მაგრამ იმდენად დაცილებულია ქართულისაგან („грузинскаго"), როგორც ლიტვური რუსულისაგან; უბრალო მეგრელს არ ესმის ქართული; ეს განსაკუთრებით მეგრელ ბავშვზე უნდა ითქვასო» და სხვ. [2])

ცხადია, მ. ვოსტორგოვი მეგრელთათვის მშობლიურ ენად მეგრულსა სთვლის და არა ქართულს.

გავყვეთ ქვემოთ.

«ყველა ტომები, რომელნიც საქართველოს (Грузія) პოლიტიკურ კავშირის ქვეშ იმყოფებოდა, ეკლესიების მხრითაც მას ემორჩილებოდა და ღვთის-მსახურებასა, ლიტერატურასა და კანონმდებლობაშიაც ქართულის ენით სარგებლობდა, რომელიც განათლებისა და კულტურის ერთად-ერთი შემტანი იყო უდებსა, ქისტებსა, ოსებსა, სვანებსა, მეგრელებსა და ლაზებს შორის... მაგრამ მე-XIX საუკუნის დამდეგიდან ვითარება შეიცვალა: დღეს მთელის კავკასიის მემკვიდრეობითი ენა, რასაკვირველია, რუსულია, როგორც ენა სახელმწიფო... ამის ძალით აუცილებლად იცვლება ენა ღვთის-მსახურებისა და სასკოლო საქმის მდგომარეობაც; ცხადზედ უცხადესია, რომ, უკეთუ რომელსამე ტომს თავისი საკუთარი სალიტერატურო ენა და ღვთის-მსახურება მშობლიურს ენაზე არა აქვს, მაშინ მან, როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვისაც, საზოგადო სახელმწიფო ენით უნდა ისარგებლოს და არა რომელისამე ადგილობრივის ენით, რომლის დაცვის სურვილიც რაღაც არქეოლოგიურს საჭიროებას მოასწავებს». [3])

დაუმატეთ ამას ცნობილი ადგილი «ახალი სასწავლო გეგმისა», რომლის ძალითაც ქართულის ენის სწავლება სკოლებში აკრძალულია იმ ქართველის ტომის იმ თემებს, რომელნიც სათემო ენაც იმდენად დაშორებია ქართულ ენას, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ არ ესმისთ უკანასკნელი [4]); შეუდარეთ ამ ადგილს მ. ვოსტორგოვის ზემოთ მოყვანილი ორი აზრი: ა) შესახებ მეგრულ ენის სიშორისა ქართულის ენისაგან ისე, როგორც «ლიტვური რუსულის ენისაგან» არის დაშორებული და ბ) იმის შესახებ, რომ თუ რომელსამე ერს ღვთის მსახურება მშობლიურ ენაზე არა აქვს, მაშინ მან ამ საგნისათვის სახელმწიფო ენით უნდა ისარგებლოსო,—და ადვილად მიხვდებით, თუ რად უნდა ვქონდეთ ის «ბოროტ-განმზრახველნი კაცნი», რომელნიც, მ. ვოსტორგოვის თქმით, მეგრელებს შორის ხმებს ავრცელებენ: «ღვთის მსახურებაში ქართულ ენას რაღაც სხვა ენით შეგიცვლიანო» და სხ...

მეგრელი.

[1]) Въ г. Поти, за трапезою, по „порученію архипастыря, окружной наблюдатель (ე. ი. მ. ვოსტორგოვმა) выяснилъ, что вопросъ о совершеніи богослуженія на грузинскомъ языкѣ въ храмахъ и вопросъ объ изученіи русскаго языка въ школахъ,—стоятъ каждый особнякомъ, и объ этомъ имѣются совершенно ясныя указанія въ новомъ учебномъ планѣ для церковныхъ школъ грузинскаго экзархата, утвержденномъ Св. Синодомъ". („Дух. Вѣстн. Груз. Экз.," 1904 г., № 4, стр. 28).

[2]) «Духовн. Вѣст." за 1903 г. № 23—24. стр. 4—5.

[3]) „Дух. Вѣст." за 1904 г. №№ 1—2. Стр. 23.

[4]) „Равнымъ образомъ, если случилось бы, что грузины какой-либо мѣстности утеряли свой родной языкъ или же, употребляя языкъ хотя-бы съ общей картвельской основой, но уклонившійся отъ чистаго грузинскаго (литературнаго) языка такъ далеко, что населеніе не понимаетъ его, то, въ такомъ случаѣ обученіе грузинскому языку не должно быть допускаемо..." См. „Распредѣленіе на четыре года учебныхъ предметовъ въ церковно-приходскихъ школахъ грузинскаго экзархата", утвержд. Св. Синодомъ отъ 26-го іюня—4 іюля 1902 года (стр. 10, пунктъ 2).

# ჩვენებური ამბები

**ქ. ოზურგეთი.** (მეაბრეშუმეთა ამხანაგობის «შუამავლის» კრება.—ბიბლიოთეკის გახსნა). 9 მარტს აქ მოხდა გურიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის «შუამავლის» წევრთა კრება. ეს კრება გაგრძელება იყო 22 თებერვლის კრებისა. 22 თებერვლის კრებამ აირჩია ხუთი კაცი, რომელთაც დაავალა: გაეგო, თუ სულ რამდენი წევრი ჰყავს ამხანაგობას და შეეფასებინა ამხანაგობის ყველა ქონება და, ვალების გამორიცხვით, რაც დარჩებოდა, უნდა გაენაწილებინათ წევრთა შორის, რომ ვარაუდით გაეგოთ, ეხლა რა ჰღირს თითო პაი. არჩეულმა ხუთმა კაცმა შეასრულა კრების დავალება, რომლიდგანაც სჩანს, რომ ამხანაგობას რაც ვალები აქვს, ის რომ გაისტუმროს და დანარჩენი ქონება წევრთა შორის განაწილდეს, თითო პაი ღირება 3 მან. 50 კაპ. ეს ღირებულებაც მარალითად შევვიძლიან ვსთქვათ, რადგან ამხანაგობას ფულად არაფერი აქვს, ხოლო უძრავ-მოძრავი ქონება რაცა აქვს, ის რომ გაჰყიდონ, იმის ნახევარსაც ვერ აიღებენ, რაც შეაფასეს, და თუ ამხანაგობა იმოქმედებს, მაშინ ძვირადა ჰღირს.

9 მარტის კრებაზედ იქამდის იყო საქმე მისული, რომ ამხანაგობა ან უნდა გაუქმებულიყო, და ან გამოენახათ რაიმე საშუალება, რომ ისევ განეგრძო თავისი მოქმედება. კრებამ, კარგა ხნის თათბირის შემდეგ, გამონახა შემდეგი საშუალება და დაადგინა: რადგან ამხანაგობას, ვალების გასტუმრების შემდეგ, აღარაფერი რჩება, რომ განაგრძოს მოქმედება, აცხადებს, რომ ვისაც სურს ამხანაგობის წევრად ჩაწერა პირველ ივნისამდე შემოიტანოს 10 მანეთი და რადგან საწევრო ფული, წესდების ძალით, 30 მანეთია, დანარჩენი 20 მანეთი ორის წლის განმავლობაში შეავსოს, ხოლო ამხანაგობის ძველ წევრებს, რომელნიც-კი ისურვებენ ისევ წევრებად დარჩენას, ეთმობათ 3 მან. 50 კაპ. და 1 ივნისამდე უნდა შემოიტანონ 6 მან. 50 კ., დანარჩენი-კი—შემდეგ, და თუ ხსენებულს რიცხვამდის არ შემოიტანენ ამ ფულს, ამხანაგობის წევრობიდგან გამორიცხულ იქნებიან და არაფერი არ დაუბრუნდებათ ქონებიდგან, რადგანაც არაფერი რჩება. კრებამ აირჩია ერთი გამგეობის წევრი და ამხანაგობის თავმჯდომარე. გამგეობის წევრებად არიან ეხლა: ს. ვაშალომიძე, ვ. კანდელაკი, ს. თხილოშვილი; თავმჯდომარედ—დ. ცეცხლაძე. კრებამ ზემოხსენებულის საშუალებით სცნო ამხანაგობის გამობრუნება, ე. ი. განახლება, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისეთი გავლენიანი და ასეთს საქმეებში გამოცდილი კაცი, როგორიც არის ბ-ნი დ. ცეცხლაძე, სხვებიც თუ მხარს მისცემენ ამ ამხანაგობას კვლავ ფეხზედ დააყენებს.

მოგეხსენებათ, რომ ოზურგეთის ქალაქის წიგნთ-საცავ-სამკითხველო თითქმის ორის წლის განმავლობაში დაკეტილი

---

# ფელეტონი

**№-ს.**

«მიყვარხარ და შენც შემიყვარეო»,—
ლამაზო ქალო, მთხოვ, მევედრები.
მე სილამაზეს თაყვანს არა ვცემ,
არც მაგ ვედრებით მოვიხიბლები.
გსურს შეგიყვარო?... მაშ ჯერ, პირველად,
გადამიშალე ეგ შენი გული,
რომ დავინახო, რა ატოკებს მას—
უბრალო ვნება, თუ სიყვარული;
გადამიკითხე თავით ბოლომდე
შენის ცხოვრების მცირე რვეული,
რომ გავეცნო მე იმის შინაარსს,
ავწონო შენი აწმყო, წარსული;
მითხარი: იცნობ კარგად ცხოვრებას?
იცი რა არის ტანჯვა-წვალება?
ძალ-გიძს, რომ ზიდო შრომის უღელი?
გულსა გიღელვებს უსამართლობა?
გიყვარს ჩაგრულნი? გძულს მჩაგვრელები?
ჰგმობ, სწყევლი მარად იმ ბოროტ ძალსა,
რომელიც სტანჯავს სუსტსა და უძლურს?
იმედით შესცქერ ჩვენს მომავალსა?
მაშინ... მაშინ ჰო, ჩემო ლამაზო,
მეც შეგიყვარებ სულზე უტკბესად,
შენთან ვიცოცხლებ, შენთან მოვკვდები,
შენ, შენ გიგულებ მცველ ანგელოსად!

ვ. რუხაძე.

## მეხის გავარდნის წინ.

ცა მოპირქუშდა, განრისხდა,
მსწრაფლად მოძრაობს ძალები,
ელვა ხაზს ავლებს ჰაერში,
ვით ცეცხლის ნაპერწკალები!
რას მოასწავებს ყველა ეს?
სჩანს, მეხი უნდა გავარდეს:
ან განადგურდეს ქვეყანა,
ან და სრულიად განახლდეს.
თუ ეს ასეა, დე, მალე
გავარდი მეხო, იგრგვინე
და შეასრულე განზრახვა,
სურვილი დააგვირგვინე!
ნუ დაიშურავ ჩვენთვისა
მაგ შენს მძლავრ ცეცხლის ნაპერწკალებს,
რომ დროზე, შენის წყალობით,
ან მკვდრებს ვეწიოთ, ან ცოცხლებს!

## რა გაცინებს?

რა გაცინებს!?. ვის დასცინი?..
პირჯვარს იწერ, ცას შეჰყურებ...
ოჰ! რა გშვენის გველს სისინი?..
ე მაგ შხამით ვის გაჰკურნებ??.
რა გაცინებს?.. გეზიზღება?..
ზიზღს სიცილი ვერ გაჰკურნებს...
ნუ გგონია—ცას ენება,
ძირს ვინც სტირის და კვითინებს.
რა გაცინებს? იქ სიტიტვლე,
თუ აქ ჰუჰყით გაძინთული?..
ანუ კიდევ ქალთ სიტურფე,
ლუკმი ათვის გაყიდული?!.
რა გაცინებს?.. მშიერთ ხროვა,
მათი ლოცვა და მუდარა?
ლუკმისათვის კვნესა გლოვა,
ტანზე ძონძი და სუდარა?!.
რა გაცინებს? სიტყვა მჭევრად,
რომ მოგთხოვა ლუკმა პური?
შენ-კი, ვითომც შეუმჩნევლად,
არ ათხოვე სულაც ყური...
რა გაცინებს, ფარისეველს?
ის, გგონია ფარისევლობს?!
ეგ თვისება შეჰფერს მელას...
მაგას ჰშია, ის არ მელობს!!.
რა გაცინებს?.. რომ წანწალობს?
აგერ ხალხშიც ჩაერია...
ნუ იცინი!.. ომობს, ხელობს
ნადირიც, როს მშიერია...
ხუ იცინი!.. შენც ცხოვრება
ულმობელი გტყორცნის ტალღებს
და მას ბოლო მოელება,
რაც გახარებს, რაც გალაღებს...
შენც მაგათებრ მაწანწალად
გარდიქმნები «ქამით მწარით»
და ნათესის მოსამკელად
მოგიკლავენ გულს ხარხარით. .
რას იცინი? რომ წანწალობს?
აგერ!.. ხალხში დაერია ..
ნუ იცინი!.. ომობს, ხელობს
ნადირიც, როს მშიერია...

ც ლხელი

* * *

იქ, საცა ისმის კაეშნითა გამოწვეული
ჩემნი მოთქმანი... სულის ქვჯნა და კვნესა მწარე
და სადაც ერთ წუთით ვერ ვალაღე დაღონილი გული,
ხეტავ იქ მოვკვდე... იქ აღმეგოს კუბოსამარე.
მე დიდს დარბაზში ფუფუნებით ხომ არ ვცხოვრობდი;
ბნელი ოთახი დასცქეროდა ჩემსა ლამპარსა;
გულისა პასუხს სველსა კედლებს ვუზიარებდი
და ვმეგობრობდი სულიერი უტყვ მეგობარსა.
ბოროტის ხელმან წარმიტაცა ფურჩქვნილი ტოტი
და შავი ფიქრი გულს სასერად შემოეფარა;
სევდის ნიავმან ჩამომიჰქნო ბედის წალკოტი,
ისრეც ბნელს ჩემს ცას, გარს ღრუბელი გადაეფარა.
შენ კი,—«ნუ მღერო მოსაწყენად,»—შემოგეთვალა—
„ნუ, ნუ შემასმენ მწუხარს ჰანგებს, არ ვარ ჩვეული;
მაგ სევდის ხმებმა ლხინი ჩემი გლოვად შესცვალა,
თალხით შეჰმოსა ცხოვრებისა ჩემი რვეული».
ჩემო უწყალოვ, ვით ვიცინო ესრედ ტანჯულმა?
აღმაღლებულო, განიცადე, გზა დამეხლართა...
სულ სხვა ედემი გამოსძებნა მაგ შენმა გულმა,—
და ვით დაგიტკბობს ყურთა სმენას ჩანგი მწუხართა!

—

იქ, საცა ისმის კაეშნითა გამოწვეული
ჩემნი მოთქმანი... სულის ქვჯნა და კვნესა მწარე,
და სადაც ერთ წუთით ვერ ვალაღე დაღონილი გული,—
იქა მსურს მოვკვდე... იქ აღმეგოს გუბოსამარე-

ბ. ახო პირელი.

იყო მთავრობის განკარგულებით; ეხლა, როგორც გავიგეთ, სამკითხველოს გახსნის ნება-რთვა მოსულა მთავრობისაგან. იმედია, ჩვენი საბჭო დროიანად დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას და სამკითხველოს დროიანად გახსნის, რადგან ეს სულ იმაზეა დამოკიდებული.

უსუფ-ალა

**ხონი.** (სოფლის მოხელეთა არჩევნები). წარსულ 26 იანვარს, მაზრის თანაშემწის შლოტვაურის თანადასწრებით. ქუთაისის მაზრის ხონის საზოგადოებაში მოხდა არჩევნები სოფლის მოხელეთა. სანამ შევუდგებოდეთ არჩევნების განხილვას, ვიტყვით ორიოდე სიტყვას შესახებ იმისა, თუ რა მოსდევს ხოლმე არჩევნებს.

კრების დროს განხეთქილება ავიწყებს ხალხს თავისს ინტერესს, ივიწყებენ საზოგადო საქმეს, ივიწყებენ სასარგებლო კაცის ამორჩევას და ხშირად იმისთანა კაცს აყენებენ საზოგადოების სათავეში, რომელიც შემდეგში ამომრჩევლებსავე ტყავს აძრობს, იმათის ნაოფლარით ჯიბეს ისქელებს, დრო-გამოშვებით რომელისამე საზოგადოების წევრს ერთ ან ორ ჭიქა «ოტკას» გადააკვრევინებს და ყოველსავე ვნებას, რომელიც მას მიუყენებია რამოდენიმე თვეობით, ერთ საათში გაუქარწყლებს! დიაღ, ჩვენი სასოფლო კრებები ხშირად სცდება არჩევნების დროს.

ხონის საზოგადოება მინიჭებულ უფლებას თუ წინა წლებში არ ეპყრობოდა მოწიწებით, წელს დიდის მოწიწებით მოეპყრო; შეიგნო, რომ ერთსულობა საზოგადო საქმეში ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი მცენარისა და ცხოველთათვის. ამიტომ ხონის საზოგადოება არჩევნების ჟამს არ დაქუცმაცებულა, არ დანაწილებულა, არამედ მთელმა საზოგადოებამ შეადგინა ერთი მტკიცე ჯგუფი და თავისს საზოგადოებას სათავეში ნამდვილი მამა ჩაუყენა.

კრების დაწყებამდე ხონის საზოგადოების უფროსმა ბოქაულმა ბ-ნმა ა. ფალავამ უთხრა საზოგადოებას: «ხონი გამოჩენილი საზოგადოებაა (ხონის საზოგადოებაში ირიცხება 1000-მდე კომლი კაცი); სირცხვილია ამ ყველასაგან მოწონებულმა საზოგადოებამ ღირსეული კაცი არ აირჩიოს თავის ჰმართველად, წინამძღოლად. მე გირჩევთ, აირჩიოთ შეგნებული, ნასწავლი კაცი. იმედი მაქვს, ჩვეულებრივად დას-დასობა და პირადობა ამ კრებაზედ არ იქნება». თათბირის შემდეგ, საზოგადოებამ წარუდგინა ბოქაულს სია იმ კაცთა, რომლებიც სურდა საზოგადოებას სოფლის მოხელეებად დაენიშნა. მამასახლისად, თანახმად ბოქაულის სიტყვისა, დაესახელებინათ ინტელიგენტი მიხეილ პეტრეს ძე სანაძე, რომელიც საკმარისად განვითარებულია, შეგნებულია, მოვლილი აქვს თითქმის რუსეთის ყველა კუთხე; ხონში იმის მეცადინეობით, ამ რამდენისამე წლის წინედ დაარსდა აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, რომელიც დღეს მისი საკუთრებაა.

სიის განხილვის შემდეგ, ხონის ბოქაულმა თ. ფალავამ უთხრა კრებას: «გსურთ, თუ არა მიხეილ სანაძე მამასახლისად?». კრებამ ერთხმად იგრიალა: «გვინდა, გვინდა მიხეილ სანაძე მამასახლისად». მ. სანაძემ, არჩევის შემდეგ, ასეთი სიტყვა უთხრა კრებას: «მე დიდ მადლობას გიხდით ამორჩევისათვის, მაგრამ თუ ჩემი დარჩენა გინდათ ამ თანამდებობაზედ, გეხვეწებით, რომ ის ფული, რომელიც შემოვა სოფლის კანცელარიაში და რომელიც დღემდე მიდიოდა მამასახლისის ჯიბეში, მიეცემა ჩემს თანაშემწეებს შრომის ჯილდოდ». საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა ბ-ნს სანაძეს, და შეძლებისგვარად ღირსეული ხალხი აურჩიეს თანაშემწეებად. კრებამ ერთხმად ძველი სოფლის მოხელეები დასცვალა და მათ ნაცვლად ერთხმივ, შეთანხმებით, აირჩიეს ახალი მოხელეები. იმედია, რომ მ. სანაძე კეთილ მამობას გაუწევს საზოგადოებას და ზრუნვას არ მოაკლებს. ერთის წლის შემდეგ მისი მოქმედება სარკე იქნება. ახალ მამასახლისს ბევრი, ძალიან ბევრი საქმე უდევს წინ გასაკეთებლად: გზების გაკეთება, გლეხების ინტერესების დაცვა, ერთი საზოგადო სახლის აშენება, თეატრის დაფუძნება და სხვა. თუ ყველა ეს საქმეები მოაგვარა მამასახლისმა, მაშინ თამამად შეგვიძლიან მადლობა შევსწიროთ მას მოღვაწეობისათვის. კრებაზედ შედგა კანონიერი ოქმი, რომელიც წარედგინა უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად.

მართალი გითხრათ, ხონის საზოგადოების წევრთა კრება მომეწონა, მომეწონა და განა არ არის მოსაწონი?! პირადობას, ნათესავობას, მეგობრობას, შენ-ჩემობას ამ კრებაზედ ადგილი არ ჰქონდა. მთელი ხალხი ერთის აზრით იყო გამსჭვალული: შევერთდეთ და, რაც შეიძლება, ღირსეული მოხელეები ავარჩიოთო! შეერთებულმა საზოგადოებამ, მართლაც, შედარებით წინა წლებთან, ღირსეულები დანიშნა ჰმართველებად.

ილია ბახტაძე.

---

**ალევის ხეობა** (დუშეთის მაზრა). სულ ცოტა, სამასი კომლი მაინც იქნება ამ ჩვენს ვიწრო ხეობაში, მაგრამ ამოდენა ხალხი დიდს გაჭირვებაშია ჩაცვივნული სწავლა-განათლების მხრივ. არსად არ მოიპოვება ამისთანა ღარიბი ხალხი, როგორც ამ ხეობაში. აქ არც ერთი სკოლა არ არის, არც სამრევლო და არც სამინისტროს უწყებისა. სკოლას ვინ და სჩივის, როდესაც ლუკმა-პური ენატრებათ აქაურ მცხოვრებლებს და თავიანთს ბედს იწყევლიან; ისე არიან შევიწროებულნი, რომ სულს ძლივს ღა იბრუნებენ. ჩვენი ხეობა რომ თავით ბოლომდე დაიაროთ, ვერ იპოვნით ვერც ერთს ოჯახს, რომ სამყოფი მოსავალი მოუვიდეს და წელიწადში სულ ცოტა რვა თუმნისა მაინც არ იყიდოს ჭირნახული. რა ჰქნან საწყლებმა, საიდგან იშოვნონ ამოდენა ფული? ისევ ან ახალგორის ჩარჩებისაგან უნდა აიღონ ვალად, ან და საქონელი თუ ჰყავთ, ის გაყიდონ, თორემ მშივრები დაიხოცებიან.

ამასთანავე, უგზოობამ ძლიერ შეაწუხა ხალხი: ისეთი გზებია, რომ სამს კაცს გაუჭირდება სიარული ამ ვიწრო ხეობაში, რადგანაც გზა არსადაა რიგიანი და კლდეებშია გაყვანილი ისეთი ვიწრო ბილიკები, რომ მიმავალ კაცს შიშის ზარსა სცემს: ან ეხლა გადავვარდები, ან ეხლაო. მდინარეზე არ არის არც ერთი ხიდი. მდინარეზედ კაცმა მომეტებულად წყლებში უნდა გატოპოს, მეტი გზა არაა. კარგს იზამდნენ ჩვენის საზოგადოების მოხელენი, რომ მიაქცევდნენ ყურადღებას და შეაკეთებდნენ გზებს, რომ ხალხს შეეძლოს თავისუფალი მიმოსვლა. ასეთს გაჭირვებაში არიან ალევის ხეობის მცხოვრებნი მოუსავლიანობისა და უგზოობის გამო. კარგს იზამდნენ, რომ მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს.

ხოსრო გარიშვილი.

---

## კახელ მევენახეთა საზოგადოების წევრთა მორიგი წლიური კრება.

(შემდეგი *)

ანგარიშის მე-XVII განყოფ. შესახებ სარევიზიო კომისია შენიშნავს, რომ სარგებლად მიცემული 3437 მან. 94 კაპ. ცოტა არის, რაკი საზოგადოების ვალი 77,775 მ. 55 კ. არის და ამის შესახებ გამგეობისაგან წარმოდგენილი განმარტება კანონიერ საფუძველს მოკლებულიაო.

გამგეობის თავმჯდომარე. სარევიზიო კომისიას მოხსენდა, რომ ნაჩვენები ვალის სარგებელი მარტო საზოგადოების კასისაგან არ არის გადახდილი, რომ ზოგი სარგებელი წევრებისაგან არის შეტანილი, რის დანამდვილებით შეტყობა და გამოანგარიშებაც შეიძლება თვით დავთრებისაგან. კომისიამ არც გამგეობის მოხსენება შეიწყნარა, არც ფაქტიურად შეიტყო და გამოიანგარიშა.

კრება დაკმაყოფილდა მოყვანილის განმარტებით.

ანგარიშის მე-XIX განყოფ. განხილვამ უფრო მეტად გააცოცხლა და აამოძრავა კრება. პირველი დღიდან დაწყებული მეტი სიცოცხლე ეტყობოდა კრებას, წარსულ კრებებთან შედარებით ამასთან, რაც უფრო საყურადღებოა და სასიამოვნო, მეტი მომზადება, საქმეში ჩახედულობა და სიმტკიცე გამოიჩინეს ამ კრებაზედ ოპოზიციის წარმომადგენლებმა, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სიმტკიცე ბოლომდე ყველას არ შერჩა. ეს განყოფილება შეიცავს ანგარიშს ზოგ წევრთაგან ზედ-მეტად გატანილის ფულისას. რასაკვირველია, აქ ინტერესი ინტერესს შეეჯახა და კრება სამ ნაწილად გაყო: წევრნი, რომელთაც ზედ მეტად ფული ძველის-ძველად აქვთ გატანილი და სურვილს არა ჰმალავენ, რომ მომავალშიაც, თუ საჭიროებამ მოითხოვა, შეეძლოთ, კიდევ მიუმატონ ძველ ვალსა; წევრნი, რომელთაც არც გატანილი აქვთ ზედ-მეტად, ღვინის ფულშიაც გასწორებულნი არიან, მაგრამ თიბათვეში ბანკში შესატანი ფული არა აქვთ და თხოულობენ, რომ საზოგადოების კასამ შეიტანოს, ესენი მალე, ე. ი. იმავე წელიწადს დააბრუნებენ, მაგრამ უნდათ, რომ გატანის ნება ჰქონდეთ; წევრნი, რომელნიც ზედ-მეტად ფულის გატანას სახიფათოდ სთვლიან საზოგადოების კეთილ-დღეობისათვის და, მიუხედავად ამისა, თვით აქვთ ზედ-მეტად გატანილი ფული, თუ არა, თხოულობენ, ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ამნაირად ფულის გატანა, ან კიდევ განისაზღვროს ისე, რომ წლითი-წლობით ზედ-მეტად გატანილის ფულის რაოდენობა არ-კი მატულობდეს, არამედ და უეჭველად კლებულობდეს.

გამგეობის თავმჯდომარე. ზედ-მეტად ფულის გატანაზე ბევრი რამ საყვედური გვესმის: ამბობენ, ნათლია ნათლიმამობას მისდევენო, ზოგს აძლევენ, ზოგს არაო, ვინც უფრო გაბედულად, თამამად და ბეჯითად თხოულობს, იმათ აძლევენო, ვინც ხშირად ტფილისშია, ისენი იღებენო, რბილის ხასიათისანი არიანო და სხვ.,—უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ეს და სხვა ამისთანა ტყუილია. ჩვენ ადგილას რომ თვითოეული თქვენგანი იყოს, ისევე მოიქცეოდა, როგორც ჩვენ ვიქცევით. ეს იმ გარემოებათა ბრალია, რომელიც ჩვენ გვახვევია გარეშემო. ამნაირი ფულის გაცემა ჰხდება ბანკებში სარგებლის შეტანის დროსა. ჩვენს სარევიზიო კომისიის წევრთა შორის ურევია ერთი იმისთანა მტკიცე ხასიათისა, რომელიც არაფრის გულისათვის არ შეიბრალებს არავის, როცა საქმე ფულის აღებ-მიცემობას შეეხება, მაგრამ როცა შევიკრიბებით სიის შესადგენად, ვისი ვალის სარგებელი უნდა შევიტანოთ და ვისი არა, და გაიგებს, თუ არ შევიტანეთ ან ხვედრი სარგებელი, იმისი მამული გაიყიდება, ის პირველი იტყვის ხოლმე, რას იზამ, ისეთი პირობებია, უნდა შევიტანოთო.

ბატონო, თქვენა თხოულობთ, იმათი ანგარიში გაგვაცანითო, ვისაც ზედ-მეტი ფული აქვს გატანილიო. ამ მოთხოვნილების შესრულება მე უხერხულად მიმაჩნია. თუ გნებავთ აირჩიეთ სამი სანდო კაცი, იმათ მიანდეთ, გადასინჯონ და კრებას მოახსენონ თავისი აზრი, თუ გნებავთ, რომ არავის ზედ-მეტი ფული არ მიეცეს, მაგრამ წინადვე გეუბნებით, რომ შეუძლებელია, მაგისთანა დადგენილებას უფრო მეტი უბედურება შეიძლება მოჰყვეს, ვიდრე ზედ-მეტად ფულის გაცემასა.

თავ. ალ. ვახვახიშვილი. წესდებით მაგისთანა დადგენილების ნება არა გვაქვს. თუმცა ძალიან კარგად მესმის, რომ გამგეობას უნდა ცოტა ზურგი გავუმაგროთ, რადგანაც ფულის გაცემაში რბილობს, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ შევუცვლით ხასიათს. ყველასაგან აღიარებულია, რომ გამგეობის წევრთა ხასიათი ფულის გაცემაში მოირბილებს და ამისი პირდაპირი შედეგია ზედ მეტად გატანილი ფული.

ბ. დ. აბელოვი. რას ეძახით ზედმეტად გატანილ ფულსა? იქნება იმას ეძახით, რომ ჩემ მაგიერ შეიტანეთ ფული; მე კიდევ ღვინო მაქვს, გაძლევთ და იმისი საფასით ვფარავ. ზედმეტად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ველარ შევასო იმავე წლის მოსავლით.

გამგეობის თავმჯდომარე. ზედმეტად გატანილი ფული სხვა-და-სხვა ჯგუფებად დაიყოფება.

თავმჯდომარე კრებისა. რადგანაც გამგეობის თავმჯდომარეს არ შეუძლიან მარტო თვითონ გვირჩიოს რაიმე სამკურნალო ღონისძიება, არ აჯობებს, ავირჩიოთ რამდენიმე კაცი და დავავალოთ იმათ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებთან გადასინჯონ ჩვენი ძალ-ღონე ნდობისა; მიიღონ მხედველობაში აწინდელი გარემოებანი, წარმოადგინონ მომავალი და გადასწყვიტონ ეს მართლა ძნელი საგანი.

მღვდელი იოანე შიუკოვი. თუ საზოგადო კრებას ნება აქვს ამ საკითხის გადაწყვეტისა, რატომ არ უნდა გადავწყვიტოთ? როცა ეს კრება იწყებოდა, ჩვენა ვსთქვით, გულწრფელად მოვიქცეთ, ყველა ავი და კარგი გამოვამჟღავნოთ, დასამალი არა გვაქვს-რა, ჩვენი საქმე იმისთანაა, რომელსაც მარტო წევრთათვის-კი არა აქვს მნიშვნელობა, მრამედ მთელ კახეთისათვის, ღირსია მოისმინოს წევრმაცა და გარეშემაცაო. დღეს-კი გვირჩევენ, კომისია ავირჩიოთ და იმას გადავაწყვეტინოთ, რაც ჩვენი გადასწყვეტია. არა სჯობიან, ახლავ განვიხილოთ, გადავსწყვიტოთ და საქვეყნოდ გამოვაცხადოთ?

თავმჯდომარე კრებისა. ბატონებო, არც ერთმა არა სთქვით-რა იმ გარემოებაზედ, რომელიც ნება უნებლიედ ამოქმედებს გამგეობას. მოვაგონებ კრებას იმ ამბავს, თავ. ერისთავის მამული რომ გაიყიდა შეცდომის გამო, როგორ თვითოეული ჩვენთაგანი ბრალმდებლად გადაიქცა, ყველაფერში ბრალი გამგეობას ედებოდა; როცა საქმე შევისწავლეთ, აღმოჩნდა, რომ გამგეობას თავადი ერისთავის ხვედრი შესატანი ხუთასი მანათი გაეგზავნა ბანკში სხვასთან ერთად და რაღაცა გაუგებრობის გამო, ეს ფული უკანვე მოეტანა წამღებსა. მეორე დღეს კი მოულოდნელად მამული გაიყიდა. დიაღ, ასეთია გარემოებათა ძალა და გთხოვთ, ამას მიაქციოთ თქვენი ყურადღება. კრება გადამიდვია ხვალ დილის 10 საათისათვის; გთხოვთ კარგად მოიფიქროთ, ასწონ-დასწონოთ და ისე გადასწყვიტოთ ეს საგანი.

კრება გადაიდვა 8 მარტისათვის.

ნადიკვრელი.

---

# სპარსეთი

## წერილი სპარსეთიდგან.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქართველები სპარსეთში. საკუთრად სოფელს ხოსროვაში *).

ყველამ ვიცით, რომ სპარსეთში დიდი ძალი ქართველობა იქმნა წამოყვანილი ტყვედ სპარსელებისაგან. ამ ბოლო ხანებში სპარსეთში, სოფელს ხოსროვაში, ვნახე ერთი მოხუცი დედაკაცი ას-ათის წლისა, სახელად მარიამ ხანუმი. ამ მოხუცმა რა დამინახა, თვალები ცრემლებით აევსო და ტირილით მითხრა: «მადლობა უფალსა, რომ კვალად ჩემმა თვალებმა ნახეს ქართველის შვილი ამ უცხო ქვეყანაში». ამ სიტყვებით გაკვირვებულმა დავუწყე მას ლაპარაკი ხალდეულის ენითა. მაშინ მიამბო თავისი თავგარდასავალი. დიდხანს ვესაუბრე, მითხრა: ვალიხანი და გარსევან-ბეგ ქართველები იყვნენ, მოსულნი საქართველოდგან იმის გამოისათა, ვალიხანი უკანასკნელი ერეკლის ქართლის მეფის შვილი, გარდმოსახლდა საქართველოდგან ერთი პატარა ჯგუფითა. შაჰმა, სპარსეთის მეფემ, რა შეიტყო ერეკლე მეფის შვილის მოსვლა სპარსეთში, მაშინათვე დაადგინა იგი თავის ვეზირად ოთხს სოფელზედა, ე. ი. ხოსროვაზედ, არუვანზედ, სავრაზედ და გულისანზედ. ვალი-ხანის ცოლი ერევნიდგან იყო მოყვანილი. და სახელად ერქვა სოშხ, მისგან ეყოლა ერთი შვილი, სახელად არაქელ-ხანი. ვალი-ხანთან იყვნენ ორმოცდაათამდე წარჩინებული ქართველები, თავადთაგანნი. ბოლოს ვალი-ხანი რომ თეირანში გამგზავრდა, თავის მომაგიერედ ამ ოთხ სოფელზედ დანიშნა გარსევან-ბეგი, ქართველი. ვალი-ხანი თეირანში გარდაიცვალა და გარსევან-ბეგი ხოსროვაში. ამ გარსევანის საფლავი ვნახე, ერთი დიდი ლოდი ადევს, მაგრამ სრულობით არავითარი ნაწერი არ აქვს ამ ქვასა. გარდა გარსევან ბეგისა, როგორც ამ მოხუცმა მიამბო, ხოსროვაში გარდაცვლილან ქართველები სახელდობრ: რაფაელ-ხანი, ფარმას-ბეგი, ქილო-ხანი, შაქარ-ბეგი და ნუნი (ე. ი. ნინო).

ამ ცნობების გამო ვიფიქრე, თუ რომ ამოდონა ქართველები აქ ყოფილან, რატო მათი ყოფნა ამ სოფელში არ დამტკიცდება? და, რასაკვირველია, შევუდექი დოკუმენტების ძებნასა.

ორი სამი თვე დავდიოდი აქეთ-იქით, ვათვალიერებდი და ვეძებდი დაკარგულს რამესა. შემდეგ დიდი ჯაფის გამოვლისა, ერთმა ჩემმა მეგობარმა, სახელად მირზაიაკოფმა, რომლის დიდიდედას აქ უნახავს ქართველები, მომიყვანა ყაფხში (აქ ცინკოგრაფიით გადაღებული სურათის ადგილია).

ეს რა ვნახე, მაშინ დავრწმუნდი ქართველების აქ ყოფნაზედ და შევუდექი ხალდეული წიგნების ჩხრეკასა. ერთს დღეს ღმერთი ისე შემეწია, რომ შევხვდი ერთს წიგნსა, ურმიაში დაბეჭდილსა, ხალდეულს ენაზედ; ვალი-ხანზედ ესრედ სწერია: სოფელი ხოსროვა ებარა ვალი-ხანსა, ერეკლე უკანასკნელი ქართლის მეფის შვილსა. ვალი-ხანი იყო კაცი ბრძენი, მშვიდი და კეთილი ქრისტიანი. ხოსროვის მცხოვრებნი ძალიან მადრიელნი ყოფილან მისგან და ამ ჟამადაც ხოსროვის მოხუცებს ახსოვთ ვალი-ხანის სიკეთე; მრავალს მეჯლიშებში ლაპარაკობენ იმაზე და ამბობენ: ვალი-ხანი დაუძახებდა მრავალ პაწაწინა ყმაწვილებსა და ურიგებდა ფულებსა ხილის სასყიდლად. მარტო სოფელი ხოსროვა აძლევდა წელიწადში ვალი-ხანს: ათას შვიდას მანეთსა, რვაას ოც-და ათს თუმანსა აქაურს ფულსა სამას ოც ცალს ხორბალსა; ქერსა ცხენებისათვის და შეშასა დასაწველად. კვალად სოფელი ხოსროვა აძლევდა წელიწადში ვალი-ხანსა: ათას ორას ორმოც-და ათს ქათამსა და სამი ათას კვერცხსა, მაგრამ ვალი-ხანი მრავალ გზის აპატიებდა ხოლმე, გლახაკებსა და ქვრივებსა არამც თუ აპატიებდა, არამედ შეწევნას აძლევდა და ინანებდა. ვალი ხანის სახლი იყო იმ ადგილას, სადაც ამ ჟამად ჰგიებს შემწე რიგის ქალწულების სადგომი. ვალი-ხანს დიდი გავლენა ჰქონდა შახთან და იცვამდა ყველა ქრისტიანებსა დევნულობისაგან. ბოლოს რომ გაემგზავრა თეირანში, დანიშნა თავის სამაგიეროდ გარსევან ბეგი, ქართველი. ვალი-ხანი გარდაიცვალა თეირანში, გარსევან ბეგი-კი ხოსროვაში.

პატრი რაფაელ ნებიერიძე.

---

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი.

კვირეევს «ცხოვრების გმირი» სუსტი პიესაა, მელოდრამატიულის მომენტებით სავსე და საეურადღებო აზრს მოკლებული. ერთად ერთი მომქმედი პიესაში პეტრეა. თუმცა იმასაც ცხოვრების გმირის სახელის ტარებისათვის ბევრი რამ აკლია. ესეც-კია, ასეთი სახელი პეტრეს მთარგმნელმა უწოდა, თორემ ავტორი «Забубенная головушка»-ს ეძახის, რაც ჰნიშნავს უჩადს, თავზედ ხელ-აღებულს და სხვას, რაც გნებავთ, მხოლოდ ცხოვრების გმირს-კი არა. საერთოდ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თარგმანის ენა ძლიერ სუსტია.

ერთის სიტყვით, პიესა პეტრეს როლის აღმასრულებელზედ არის დამყარებული: თუ ის კარგია—პიესასაც ინტერესი ეძლევა, თუ არვარგა,—პიესაც უაზროა და მოსაწყენი. ბ-ნ. ალექსი-მესხიშვილი, რომლის ნიჭსაც იშვიათად თუ გაუჭირდება ჩაუდგეს სული როლს, რაც უნდა სუსტი იყოს,—პეტრეს როლშიაც საუცხოვო სანახავია თავის ბუნებრივის თამაშობით, იშვიათის მიმიკით. მისებრივ «ცოცხლად» დახატული «სიკვდილი» ხომ თითქმის შეუძლებელიც არის. აღსანიშნავია კიდევ ნ. დავითაშვილის (მარია) ბუნებრივს თამაშობას, გრძნობის წრფელად გადმოცემას. ეს თვისება დიდი ღირსებაა მსახიობისათვის, ეგ ერთად-ერთი სწორე და მოკლე გზაა, რომლითაც მსახიობის გრძნობა, გულის ოქმა, მაყურებელს გადაეცემა ხოლმე. მხოლოდ აქაც, როგორც ყველგან, გადაჭარბებას შეუძლიან ხელი შეუშალოს შთაბეჭდილების ერთიანობას.

მსახიობმა არ უნდა დაივიწყოს, რაც უნდა გრძნობით გატაცებული იყოს, რომ სცენაზედ არის, თამაშობს, მაშასადამე, სიფრთხილე ჰმართებს; მოუფიქრებელის, გამოურკვეველის სიტყვათა თუ მოქმედებით, მაყურებელის ილიუზია არ დაარღვიოს, შთაბეჭდილება არ გაუფუჭოს. ერთის მხრით ბუნებრივობა თამაშობის დროს, გამსჭვალვა გრძნობით, რომელსაც მსახიობი ჰხედავს, მეორე მხრით სასტიკი, გადაჭარბებული დაცვა სცენის კანონებისა—აი ძნელი, ეკლიანი გზა, რომელიც უნდა გაიაროს ყველამ, ვისაც კი თავისი ძალ-ღონე სასცენო ხელოვნებისათვის შეუწირავს. ნ. დავითაშვილს პირველი ღირსება,—ბუნებრიობა,—საკმაოდ აქვს, საჭიროა ეხლა მისთვის სცენის ცოდნა, ერთის სიტყვით, სკოლაა ეს-კი დიდის ხნის შრომისა და მეცადინეობის შედეგია. ბუნებრიობა აკლდა ივანიძის თამაშობას დიმიტრი არჩევის როლში. პირველ მოქმედებაში მსახიობი აჭარბებდა, მესამე-კი კარგად ჩაატარა.

გაუფრთხილებლად თამაშობდა ი. იმედაშვილი (აპატოვი), ნებიერიძისა (ზინაიდა) და სხვ.

«ბიძასთან გამოხუმრებაში» კარგი იყო, როგორც ყოველთვის, მ. საფაროვ-აბაშიძისა. არა უშავდათ-რა დანარჩენებსაც.

ქ. ყი—ნი.

---

# წერილი

## რედაქციის მიმართ

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ თქვენს გაზეთში წლიური ანგარიში გაბრიელ ეპისკოპ. სახელობაზე არსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი. მასთან გთხოვთ, თქვენის გაზეთის შემწეობით, უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ რედაქციებს მუქთად ბეჭდვისათვის, გაზეთების უფასოდ და ნახევარ ფასად გამოგზავნისათვის და ყველა იმათ, ვინც ხელს უწყობდა წიგნთ საცავ-სამკითხველოს წარმატებას.

---

*) იხ. „ივერია“ № 70.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ორთოგრაფიულ ფორმათა შეუცვლელად. რედ.

აი თვით ანგარიში; შემოსავალი:

1902 წ. იანვრიდან 1903 წლის პირველ იანვრამდე დარჩა ნაღდი ფული 1001 მან., წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოებისაგან 100 მან., წიგნების სარგებლობისაგან 88 მ., ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაგან 30 მან., თავ. ჯამ. დადეშქელიანისაგან 10 მან., კნ. ი. ზ. მელიქოვისა, მ. ა. ქაქიძისა, ექიმის გომართელისა, უ. მათიკაშვილისა, ქ. ტ. მეგრელიშვილისა, ტ. ქ. დადიძისა ი. მ. კვიცარიძისა, ი. გ. თუთქვაძისა, ა მ. მათიკაშვილისა და ბ. თ. ასათიანისაგან—ორ-ორი მანეთი; პროცენტი დარჩენილის ფულისა—36 მან., გასართობ-საღამოსაგან 870 მან.; სულ—2,155 მანეთი.

გასავალი: სახლის ქირა 300 მან., ბიბლიოთეკარს 190 მან., შეძენა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა 160 მან., წიგნების ამკინძველს 72 მან., გათბობა და განათება 52 მან., მოსამსახურის ქირა 120 მანეთი, წლიურ ანგარიშის დაბეჭდვა 10 მან., ფოსტისა, ინვენტ., კანც. და წვრილმანი ხარჯი 32 მან., სულ 926 მან.; ხარჯს გარდა დარჩა 1903 წლის პირველ იანვრამდე 1,229 მან.

საზოგადო ცნობები ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი: ბიბლიოთეკა დაარსდა 1896 წლის 27 დეკემბერს და დაარსებიდგან ჰქონდა შეკრებილი 163 მან. და 200 წიგნი რუსულ-ქართული. ეხლა აქვს 4,696 წიგნი; ქართული 2042, რუსული 2,656, სასულიერო 135, ბელეტრისტ. 3,405, ისტორიული 218, სამეცნიერო და ფილოსოფიური 204, საბავშვო 879, სხვა ჟურნალი 736.

სარგებლობენ წიგნებიდან: აზნაური 326, სასულიერო წოდებისა 10, ვაჭარი 38, გლეხი 353, სულ 726; ამათგან 295 ქალი, 431 კაცი, 600 ქართველი, 58 რუსი, 48 სომეხი, და 20 სხვა წოდებისა.

სულ გაიტანეს წიგნები 10 280: სასულიერო 99, ბელეტრ., ლექს. და სხ. 3,520, ისტორიული 310, სამეცნიერო და ფილოს. 808, საბავშვო 5,450 და სხვა 101.

სამკითხველოში მთელი წლის განმავლობაში დადიოდნენ 18,408 ქალი და კაცი. საქმის დღეს 14,419, უქმე დღეს 3,989.

თვიური გადასახადი წიგნების სარგებლობისათვის 5 კაპ., სამკითხველოში თვიური გადასახადი არ არსებობს; სამკითხველოს მოსდის შემდეგი რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები: «ივერია», «ცნობის ფურცელი», «ნოვოე ობოზრენიე», «პეტერ. ვედომოსტი», «ტფილისის ფურცელი», «მოამბე», «კავკაზი», «მოგზაური», «ჯეჯილი», «კვალი», «მწყემსი», «მირ ბოჟი», «ნივა», «ნაროდნოე ბლაგო» და «ჟურნალ დლია ვსეხ».

ელენ. კონსტ. ჯინოვისა.

## „ივერიის“ ფოსტა

**თელავი. ბ—ს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**მეჩონგურეს.** ლექსი „გაზაფხული“ უკვე დაიბეჭდა „შერდულში“. „ამონაკვნესი“-კი არ დაიბეჭდება.

**გრ. იმერელს.** თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება,

# დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი.

**ბერლინი.** იოკაგამიდან იუწყებიან, ადმირალმა ტოგომ მოახსენა, პორტ-არტურის ნავთსადგურის ჩახერგვის დროს ხოცლულ იქმნა იაპონელების მხრივ ორი აფიცერი და ორიც ჯარის-კაცი, დაიჭრა ცხრა კაცი, და ნარჩენნი უვნლად იაპონიის გემებზე ავიდნენ.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). საგამოთო პარლამენტის უჩვეულებრივო სესიამ დაათავა თვისი შრომა, მიიღო მთავრობისაგან შემუშავებული სამხედრო გარდასახადი და სხვა საფინანსო ღონისძიებანი. სესია ოფიციალურად 17 მარტს დაიხურება.

**კრონშტადტი.** როგორც კუნძულ მოკლანდიდგან იუწყებიან, გუშინ კუნძულს ახლო გაიარა ყინულ-საჭრელმა «ერმაკმა».

**ტოკიო.** («ფოლფის სააგენტო»). რუსთა და იაპონელთა კორეაში ბრძოლის გამო ოფიციალურს მოხსენებაში ნათქვამია, რომ 15 მარტს, საათის 11-ზე, დილით, იაპონელთა ქვეითა და ცხენოსან ჯარის რაზმი შეხვდა რუსეთის ცხენოსან რაზმს, 600 კაცისაგან შემდგარსა, რომელსაც ჩუნ-ჩჟუ უჭირა (?). იაპონელებს ამ დროს მოუვიდათ შემდეგი ზარალი: მოკლულია ერთი აფიცერი, ოთხი ჯარის-კაცი, დაჭრილია ორი აფიცერი და ოთხი ჯარის-კაცი. რუსებსაც ამდენივე ზარალი მოუვიდათ.

**პეტროპავლოვსკი.** დღეს დილით გაიარა პეტერბურგისაკენ გზათა მინისტრმა.

**მაინის—ფრანკფურტი.** ფრანკფურტის ხორბლის ბაზრის კავშირის ბევრმა წევრთაგანმა, იმპორტერებმა, წისქვილის პატრონებმა მაინის—ფრანკფურტისა, კრეიცნახისა, დარმშტადტისა, ოფენბახისა, ნიდერლანშტეინი'სა, ფრიდბერგისა, გესსენისა და სხვ. 1 აპრილიდან ამა წლისა ხელწერილი დასდეს ხორბლის ყიდვის დროს სამხრეთ-რუსეთში, ოსმალეთში, დუნაიის ადგილებში განსაკუთრებით იხელმძღვანელონ გერმანია-ნიდერლანდიის სავაჭრო ხელშეკრულობითა.

**სტამბოლი.** სასანიტარო საბჭომ შეამცირა პორტ-საიდში ექიმთაგან საქონლის გასინჯვის წესები.

**მოსკოვი.** ქალაქის გამგეობამ დანიშნა ადგილები ათი ღამით თავშესაფარი სახლის გასაკეთებლად.

18 მარტი.

**ოდესა.** გემი «მალაია» ერთის დღე ღამით დააბრკოლეს სტამბოლში კარანტინის მიზეზით. ოდესა სრულიად მზათ არის ჩემულპოს გმირთა დასახვედრად. ის ადგილი, საცა დეპუტაციები მიეგებებიან, მორთულია კამ რა-შეკრულ კარითა და საზღვაო ატრიბუტებითა. ზღვათა მინისტრმა ნება დართო მეზღვაურთა ორ დღეს დარჩნენ. ოფიცრებს საუკეთესო სასტუმროში მოუმზადეს ბინა. სადილს გაუმართავს სა ხედრო უწყება და ქალაქი.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო». რეზოლუცია, რომელიც პარლამენტმა შეიწყნარა, ამბობს: იმპერატორის მიერ ომის გამოცხადება რუსეთისათვის სამართლიანი და პატიოსანი საქმეა, გამოწვეული იმ სურვილით რომ მშვიდობიანობა აღმოსავლეთს აზიაში დამოკიდებულ იქმნას მტკიცე საფუძველზედ. ყველა ქვეშევრდომნი ეცდებიან მთელის თავის ძალღონით აღასრულონ თვისი მოვალეობა იმპერატორის სურვილის განსახორციელებლად. პალატა იზიარებს ერის მამულის მოყვარეობის გრძნობას და ამიტომ გადასდო იმდენი ფული, რამდენიც ისურვა მთავრობამ, ისე რომ ყოველივე უზრუნველ-ყოფილია, რაც კი ომისათვის საჭიროა. თუმცა ჩვენმა ფლოტმა დიდი საქმე ჰქმნა, მაგრამ მაინც არ უნდა დავივიწყდეს, რომ ომი მხოლოდ ეხლა დაიწყო და წინ და წინ ძნელი დასანახია როდის ჩამოვარდება მშვიდობიანობა. ამიტომ პალატას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ გადასდოს საჭირო ფული შემდეგაც ომის განსაგრძობად.

**ბერლინი.** ტოკიოდგან ცნობა მოვიდა, რომ კორეველ მეციხოვნეთა ორი ბატალიონი პენიანში, რომელიც საუკეთესო ჯარად ითვლება, აჯანყდნენ, რადგანაც ბრძანება მიიღეს ჩრდილოეთ საზღვრებისაკენ წავლისა. ბევრი ჯირის კაცი გაიქცა ჯარიდგან.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგენტო»). პალატამ თითქმის სრულიად მიიღო საფინანსო კანონ-პროექტი, რომელიც სამინისტრომ წარუდგინა, თუმცა ბევრგან შესცვალა ზოგი მუხლები. განსაკუთრებულის გადასახადისაგან მოელიან წლიურ შემოსავლის ჯამს 68 მილიონის მაგივრად 62 მილიონ იენს. მთავრობას აზრადა აქვს მოსალოდნელი დეფიციტი დაჰფაროს საადმინისტრაციო უწყების ხარჯის შემოკლებით, იმისდა მიხედვით რადგანაც საჭირო იქმნება. შემდეგ უარყოფილ იქმნა საფინანსო პროგრამა მარილის მონოპოლიის შემოღების შესახებ. მიღებულ იქმნა კანონ პროექტი, რომ ბანკებს ნება აქვთ გამოსცენ მომგებიანი ობლიგაციები 3 მილიონის იენისა მხოლოდ ერთის წლის განმავლობაში. გადასახადთა შესახებ ყოველი ცვლილება ძალაში შევა ექვსის თვის შემდეგ. თამბაქოს მონოპოლია მიღებულ იქმნა. ფაბრიკის პატრონებს ზარალი აუნაზღაურებიათ უკანასკნელის სამის წლის განმავლობაში გაყიდულის საქონლიდგან.

**კოპენჰაგენი.** მობრძანდა მეფე დედოფალი ინგლისისა.

**ბერლინი.** ბელგრადიდგან იუწყებიან, რომ სამუდამოდ დათხოვნილ იქმნება მეფის ადიუტანტი პოპოვიჩი და ყველა მეფესთან დაახლოვებულნი, მაგრამ ამასთანავე უმაღლესს ხარისხსაც მიიღებენო. დანარჩენ აფიცრებს პენსიით დაითხოვენ. ყველა ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაინიშნება რუსეთის ელჩი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. თიბეთის საქმეთა გამო კამათის დროს ბროდრიკმა განაცხადა, მთავრობას არ უნდა ისეთი რამ მოახდინოს, რასაც დამოკიდებულება ექნება თიბეთში ჯარების ჩაშენებასა.

**პეტერბურგი.** ნაბძანებია დროებით მთავარი შტაბის უფროსის თანადებობა მიენდოს შტაბის გენერალ ლეიტენანტს ფროლოვს. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და შეიწყნარა ფინლიანდიის სენატის შუამავლობა რომ სამხედრო საჭიროებათათვის გადიდოს ერთი მილიონი მარკა და უმაღლესად ბრძანა ამ ფულიდან რვაასი ათასი მარკა გადიდოს რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად, და ას-ასი ათასი მარკა გადაეცეს რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოებათა და ფინლიანდიის საზოგადოებას, რომელიც დაჭრილ და ავადმყოფ მხედართათვის ზრუნამს.

**სეული.** («რეიტერის საგენტო»). იაპონიის ავანგარდმა დაიჭირა ნავსადგური ხაიჩჟიუ, რომელიც ანჩჟიუდან სამხრეთ-დასავლეთით არის.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგენტო»). ადმირალმა მაკაროვმა გამოაცხადა, ყველა ის სამხედრო და სავაჭრო გემები, რომელიც ღამე ცეცხლს არ გააჩაღებენ ან დღისით უდროშოთ იქნებიან მტრის გემებად ჩაითვლებიან, თუ ცარიელ ზარბაზნის სროლის შემდეგ არ გაჩერდებიან.

**ტოკიო.** («რეიტ. საავ»). რუსეთის მთავრობამ საფრანგეთის ელჩის პირით პროტესტი განაცხადა, რომ კუნძულ სამმანდზე საკასანტონო სადგური დააქციეს, რომელიც პორტ არტურზე მეოთხედ თავდასხმის დროს. პროტესტი უჩვენებს ჰააგას კონფერენციის 25-ე მუხლსა გარეშე საქმეთა მინისტრმა კომურამ უპასუხა, ადმირალ ტოგოსაგან არ მიმიღია მოხსენება დასახელებულ სადგურის დაქცევას შეეხებაო, ამას გარდა აღნიშნული მუხლი შეეხება მხოლოდ ხმელეთის ომსაო.

**ტომსკი.** ტომსკის უნივერსიტეტში რამდენიმე თავისუფალმა მსმენელებმა—კაცებმა და ქალებმა აღძრეს შუამავლობა წითელი ჯვრის უმთავრეს გამგეობასთან, გაგზავნონ ისინი შორეულ აღმოსავლეთში რუსთა ავადმყოფ და დაჭრილთა მოსავლელად.

**სოფია.** (სპეციალური) სტამბოლიდან იუწყებიან, რომ რუსეთისა და ავსტრიის საელჩონი ამბობენ ოსმალეთის უკანასკნელ ნოტის პასუხად, გენერალი დეჯორჯისი დაუყოვნებლივ წავა სალონიკსაო და თხოულობენ უწყებული რაოდენობა იყოს ოფიცერთა ოსმალეთის ჟანდარმერიაში. სულ 60-მდე უნდა იყვნენ, ეხლა-კი მხოლოდ 25.

სტამბოლიდან მოსული ცნობა, ვითომ აჯანყებულთა ჯუფთნი გაჩნდნენო, მოგონილიაო.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## პეტერბურგის ბირჟა

16 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,90 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში „ | 43,30 |
| პარიჟში „ | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93⅛ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 91⅜ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 369½ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 311 ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 269½ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 87½ წვ. გაყ. |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 88⅛ ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 88 წვრ. გაყ. |

## რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუაღლის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუაღლი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამ შაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუაღლის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

**ტფილის ბათომისაკენ:** 1) შუაღლის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუაღლის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

ხალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16 ...

ფასი 30 კაპ.

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. ბ. თოფურიას**

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყოველ დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ იურგენსის**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და ხპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი ... ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—11)

# მ ა მ უ ლ ი

უნდათ იყიდონ ვერაზედ და სოლოლაკში, 300—400 ოთხ-კუთხი საჟენი; რის ნაკლებაც არ შეუძლიანთ პატრონთ გაჰყიდონ, აცნობონ ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სამოსწავლო კომისიის საქმის მწარმოებელს 1-ლს განყოფილებაში, 20 მარტს.



**მოითხოვეთ ყველგან ნაძვილი**

„ოდონტინი“ მ. ვ. ლ...ის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

# „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ-მოძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უძრავგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა ფულისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან-სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გინოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—27)

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მ წ ყ ე მ ს“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

XIX

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 3 მ. | ორივე გამოცემა . 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით . . 4 მ. | 6 თვით „მწყემსი“ . 2 მ. |
| | რუსული . . 2 მ. |
| რუსული . . 3 მ. | ორივე გამოცემა . 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის ... მანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.